საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი 23.06.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი;
მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. **შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:**
თეიმურაზ ტორონჯაძე - ბიზნეს სკოლის დეკანი;
ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
თამაზ უზუნაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე;
ილია მესხი - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი.
2. **ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**
მარინე იოსელიანი - რექტორი;
ხათუნა ბერაია - ადმინისტრაციის უფროსი;

ნესტან ციციშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
მანანა გაბაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე;
მერაბ კაკულია - პროგრამის ხელმძღვანელი;
თინათინ კახიანი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიმართულებების კოორდინატორი.

3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

კახი ყურაშვილი - პრორექტორი;
მაკა კაჭარავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ილონა საყვარელიძე - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
ელენე ნიკობაძე - ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
მანანა ორჯონიკიძე - ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი ღაღანიძე;
- მაია გონაშვილი;
- თამარ გაიხარაშვილი;
- გოჩა თუთბერიძე;
- ია ნაცვლიშვილი;
- ნატო ალავიძე;
- რამაზ ქურდაძე;
- ნინო ბალანჩივაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილსის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

მაია გელაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს შუამდგომლობით, რომ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილული ყოფილიყო პირველ საკითხად, ვინაიდან პროგრამის შემფასებელ აკრედიტაციის ექსპერტს ჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა. საბჭომ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილსის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ და მაია გონაშვილმა.

- სასურველი იყო დაზუსტებული ყოფილიყო ტექნიკური სახის საკითხი: კერძოდ, როდესაც მიღების წინაპირობაში ეწერა ,,საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტს უნდა სცოდნოდა უცხო ენა (ინგლისური) B1 დონეზე და მიეღო უცხო ენის (ინგლისურის) გამოცდაში (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე) ნედლი ქულის 70% ან მეტი. ან შეეძლო წარმოედგინა საბუთები რომლებიც დაადასტურებდნენ ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე", დაკონკრეტებული უნდა ყოფილიყო, რომ სერთიფიკატის წარმოდგენა ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.;

- სასურველი იყო მომხდარიყო ზოგიერთი საგნის სემესტრის და წინაპირობის დაზუსტება, რაც გამოკვეთილი იქნა აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროსაც. კერძოდ, რეკომენდირებული იყო წინაპირობაში მითითებული ყოფილიყო მენეჯმენტის პრინციპები ისეთი საგნის შესწავლისას, როგორიც იყო ორგანიზებული ქცევის პრინციპები, კონკურენციის ანალიზს წინაპირობაში მითითებოდა მიკროეკონომიკა, ხოლო ინოვაციური და კრეატიული მენეჯმენტის საფუძვლებში დარჩენილი ყოფილიყო მხოლოდ მენეჯმენტის პრინციპები და არა ასევე ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რადგან ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ინოვაციური და კრეატიული მენეჯმენტი ერთ სემესტრში ისწავლებოდა (მე-6 სემესტრი);

- სასურველი იყო მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო საგანი ადამიანური რესურსების მართვა გადასულიყო ზოგად მოდულში, ხოლო ზოგადიდან ხარისხის მენეჯმენტი გადმოსულიყო მენეჯმენტის მოდულის სავალდებულოში;

- მიზანშეწონილი იყო მარკეტინგის პრინციპების სავალდებულო ლიტერატურა ყოფილიყო კოტლერ-არმსტრონგის მარკეტინგის საფუძვლები და არა კოტლერ-კელერის მარკეტინგ მენეჯმენტი (A Framework for Marketing Management – Philip Kotler, Kevin Lane Keller, 3rd ed./Pearson Education 2007 - რომელიც უფრო სწავლების შემდგომ საფეხურზე უნდა ყოფილიყო გამოყენებული);

- სასურველი იყო აკადემიური პერსონალის გაზრდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად გათვალისწინებული იყო ყველა რეკომენდაცია. პირველ რეკომენდაციაში აღნიშნული ტექნიკური სახის უზუსტობა გასწორდა და მიეთითა, რომ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა შეეძლოთ მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, ვისაც არ ჰქონდათ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები.

მეორე რეკომენდაციის გათვალისწინებით, ჩასწორებულ იქნა საგნების წინაპირობები. კერძოდ, წინაპირობებში დარჩენილი იყო მხოლოდ მენეჯმენტის პრინციპები, რაც შეეხებოდა არჩევით და სავალდებულო საგნებს, რასაც გულისხმობდა მესამე რეკომენდაცია, აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ადამიანური რესურსების მართვა გადატანილი იქნა ზოგად მოდულში, ხოლო ხარისხის მენეჯმენტი გადმოტანილი იყო სავალდებულო საგნის სახით.

ასევე გათვალისწინებული იქნა მეოთხე რეკომენდაცია და სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იქნა კოტლერ-არმსტრონგის მარკეტინგის საფუძვლები. რაც შეეხებოდა მეხუთე რეკომენდაციას ბიზეს ადმინისტრირების მიმართულებით აკადემიური პერსონალის გაზრდის შესახებ, აკადემიური პერსონალი, რეალობიდან გამომდინარე, თავისთავად იცვლებოდა ვინაიდან დამოკიდებული იყო სტუდენტების რაოდენობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აღნიშნულ ეტაპზეც გამოცხადებული იყო აკადემიური პერსონალის კონკურსი. აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზრდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენი სტუდენტი ჩაირიცხებოდა პროგრამაზე.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა საკმარისი იყო თუ არა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა, რათა სტუდენტს აეთვისებინა ინგლისურენოვანი მასალა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისური ენის წინაპირობა გულისხმობდა B1 დონის გამოცდის/ტესტის 70 %-ზე გადალახვას, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სტუდენტი თავისუფლად გამკლავებოდა ინგლისურენოვან ლიტერატურას.

ექსპერტმა მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი სკოლას ამთავრებდა ის ინგლისურს ფლობდა B1 დონეზე, შესაბამისად უნივერსიტეტი ვერ მოთხოვდა მას ინგლისური ენის B2 დონე ფლობას. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ აღნიშნული მდგომარეობის დასაძლევად, დაწესებულება გაძლიერებულად ასწავლიდა სტუდენტებს ინგლისურ ენას, რაც მათ ხელს შეუწყობდა პარალელურ რეჟიმში დაეძლიათ სხვადასხვა საგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი უნივერსიტეტი ახორციელებდა ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამას. მან იკითხა იყო თუ არა აკადემიური პერსონალი ერთი და იგივე ორივე პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით აკადემიური პერსონალი გახლდათ განსხვავებული, თუმცა ადგილი ჰქონდა გადაკვეთასაც. ვინაიდან აკადემიური პერსონალისათვის სავალდებულო იყო ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი დიპლომის ან სერთიფიკატის ქონა, იმისათვის, რომ ინგლისურ ენოვან

პროგრამაზე წაეკითხათ ლექციები და არსებული აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდებოდა ძირითადად ახალი კადრებით, რომელთა რაოდენობა იყო 2/3.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლება მაგისტრთან გათანაბრებული (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა.

- სასურველი იყო დაკონკრეტებული ყოფილიყო სიმულატორზე სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციებით გათვალისწინებული პრაქტიკული პროცედურების ჩამონათვალში მანიპულაციების შესრულება;

- სასურველი იყო პროგრამის აღწერილობით ნაწილში პროგრამაზე სწავლის მსურველებისათვის ჩანაწერი საშუალო განათლების მოთხოვნით შეცვლილი ყოფილიყო სრული ზოგადი განათლებით;

- სასწავლო კურსის Medical English/Georgian სწავლის შედეგებით განსაზღვრული არ იყო სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნა, არამედ ლიტერატურასთან, თეატრთან, კინოსთან, სპორტთან, ეროვნებასთან, ენასთან, ოჯახთან, პროფესიასთან, დასაქმებასთან, სწავლასთან, ქვეყნებთან, ლანდშაფტთან, ფლორასთან, ფაუნასთან, კომუნიკაციასთან, მგზავრობასთან, წვეულებასთან, ეტიკეტთან, მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებული ლექსიკა. ინგლისურენოვანი პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ისედაც სწავლობდა შესაბამის სამედიცინო ტერმინოლოგიას, რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის Medical English/Georgian სახელწოდება შეცვლილი ყოფილიყო შინაარსის შესაბამისად და დარქმეოდა English/Georgian;

- სასურველი იყო გამარტივებული ყოფილიყო რიგი სასწავლო კურსების ხელოვნურად დიდი რაოდენობით განსაზღვრული წინაპირობები, რომელთაგანაც საკმარისი იქნებოდა მემკვიდრეობითობის პრინციპიდან გამომდინარე მხოლოდ უკანასკნელი კურსი (მაგ. ,,კლინიკური რადიოლოგია" (მე-7 სემესტრი) და მას წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა ,,ორგანიზმის ძირითადი სისტემები I, II,III,IV");

- პროგრამის თეორიული და კლინიკური კომპონენტებისათვის სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები რიგ შემთხვევებში გახლდათ საერთო და ტოვებდა გაუმჯობესების სურვილს, განსაკუთრებით კლინიკური უნარების შეფასების მიმართულებით, სასურველი იქნებოდა კლინიკურ დისციპლინებში პრეზენტაციის ნაცვლად განხორციელებულიყო უპირატესად კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება, რაც შეფასების სისტემას მეტად მოქნილს გახდიდა;

- სასწავლო კურსში ,,კვლევის უნარები VI" დასკვნით გამოცდაზე ზეპირი გამოკითხვით სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებიდან გაწერილი იყო მხოლოდ 40 ქულა, 30 ქულა, 20 ქულა, 10 ქულა და 0 ქულა, ხოლო პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები იყო: ა) ინფორმაციის სიზუსტე და წყარო და ბ) მსჯელობის უნარი - ფასდებოდა 12-12 ქულით. შესაბამისად, გაურკვეველი იყო ქულების გრადაცია პირველ შემთხვევაში 1-9, 11-19, 21-29, 31-39 და მეორე შემთხვევაში 0 დან 12 ქულამდე შუალედში;

- აღსანიშნავი იყო, რომ რიგ სილაბუსებში შეფასების ნაწილი აღინიშნებოდა ტექნიკური უზუსტობები, რაც სასურველი იყო ყოფილიყო გამოსწორებული. მაგ: სასწავლო კურსის ,,პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა II" სილაბუსში აღნიშნული იყო, რომ ,,სემესტრის განმავლობაში სტუდენტს უტარდებოდა 7 ზეპირი გამოკითხვა. თითოეული ზეპირი გამოკითხვა ფასდებოდა 3 ქულით. აღნიშნული კურსის გავლის ბოლოს სტუდენტს წერით გამოკითხვებში შესაბამისად შეეძლო მიეღო მაქსიმუმ 21 (7X3) ქულა". სასწავლო კურსის - ,,თემები კლინიკური შემთხვევის ანალიზზე I" სილაბუსში ეწერა, რომ ,,სემესტრის განმავლობაში სტუდენტს უტარდებოდა 6 ზეპირი გამოკითხვა. თითოეული ზეპირი გამოკითხვა ფასდებოდა 2 ქულით. აღნიშნული კურსის გავლის ბოლოს სტუდენტს წერით გამოცდაში შეეძლო მიეღო 18 (6X3) ქულა" - მსგავსი ჩანაწერები იყო დამაბნეველი და საჭიროებდა კორექტირებას;

- აუცილებელი იყო რიგი პერსონალის მიმართ რაციონალურად ყოფილიყო განსაზღვრული განსახორციელებელი სასწავლო კურსები, მით უფრო, როდესაც შესაძლებელი იყო ამ სასწავლო კურსების უზრუნველყოფა ალტერნატიული განმახორციელებელი პირებით, მაგ: განსახორციელებელი სასწავლო კურსები (მომავალი ექიმი I, II; დაავადებათა განვითარება და მკურნალობის პრინციპები; ადამიანის ორგანიზმის ძირითადი სისტემები I, II,III,IV; შინაგანი მედიცინა I, II,III,IV, V; გერიატრია; საოჯახო მედიცინა I, II; ექიმი და პაციენტი; თემები კლინიკური შემთხვევის ანალიზზე I, II) აღემატებოდა ერთი აკადემიური პირის შესაძლებლობებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ინფრასტრუქტურას, მატერიალურ რესურსს, დაწესებულებას ნაწილობრივ ჰქონდა მოგვარებული კლინიკური უნარ ჩვევებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე საკითხი, რომელიც შეეხებოდა ლაბორატორიას და კლინიკურ ბაზებს. თუმცა, აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ისეთ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტს საშუალება ექნებოდა ესარგებლა სიმულატორებით. ძირითადი ხელშეკრულება გაფორმებული იყო ამბულატორიულ კლინიკა ,,ევექსთან". ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა შეხვედრა კლინიკის ხელმძღვანელთან, რომელმაც დაადასტურა მზაობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კლინიკური ბაზით უზრუნველყოფისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ რიგში ისაუბრებდა ბოლო რეკომენდაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კურიკულუმი და სასწავლო კურსები გახლდათ ინტეგრირებული, მაგალითად:

ადამიანის ძირითად სისტემებში შედიოდა სამი კურსი: ანატომია, რადიოლოგია და ფიზიოლოგია, შესაბამისად აღნიშნულ კურსებს ასწავლიდა სამი, ვიწრო სპეციალობის მქონე აკადემიური პირი. მათი მონაწილეობა ასევე მეორდებოდა სხვა კურსებშიც, რაც განპირობებული იყო კადრებთან დაკავშირებული პრობლემით, კერძოდ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის მქონე პერსონალის სიმცირით. თუმცა დაწესებულება გეგმავდა პერსონალის ეტაპობრივად დამატებას, რის საფუძველზეც მოხდებოდა საგნების გადანაწილება, შესაბამისად ერთ ან ორ პირზე არ იქნებოდა მიბმული რამდენიმე კურსის წაკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ სხვა რეკომენდაციებზე. კერძოდ, გასწორებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელიც ეხებოდა სიმულატორზე სწავლის შედეგების დაკონკრეტებასა და პროგრამის აღწერილობით ნაწილში შეცვლილი იქნა ჩანაწერი განათლების მოთხოვნასთან დაკავშირებით და მიეთითა ზოგადი განათლება. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსს Medical English/Georgian, სიტყვა medical ჩარჩენილი იყო კურსის სათაურში. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სამედიცინო ტერმინოლოგიის ინგლისურ ენაზე სწავლება, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ იყო გარკვეული განსხვავებები ტერმინებში სწავლება განხორციელდა ქართულ ენაზე, ხოლო აღნიშნული სიტყვა სახელწოდებაში იყო ჩარჩენილი. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ არ გაიზიარა რეკომენდაცია წინაპირობებთან დაკავშირებით, ვინაიდან ინტეგრირებული კურსების შემთხვევაში მიიჩნიეს, რომ სასურველი იქნებოდა თუ გამოჩნდებოდა კურსების მთლიანი ბაზა.

პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, სამედიცინო სწავლება ეფუძნებოდა სახელმძღვანელოებს, რომელიც რეკომენდირებული იყო საერთაშორისო სტანდარტებით. მედიცინა გახლდათ საკმაოდ დიდი სფერო, რომელიც შემდეგ იყოფოდა ვიწრო სპეციალიზაციით, შესაბამისად ყველა სპეციალიზაციას ჰქონდა თავისი სახელმძღვანელო.

რაც შეეხებოდა პრეზენტაციას, მასში მოიაზრებოდა გარკვეული თავის უფრო დეტალური განხილვა. მაგალითისათვის შესაძლებელი იყო ჰქონოდათ სახელმძღვანელო, რომელიც იქნებოდა უფრო სიღრმისეული ვიდრე სტანდარტით იქნებოდა გათვალისწინებული, შესაბამისად სტუდენტი ეჩვეოდა უფრო ღრმა ცოდნის მიღებას, სწავლობდა მასალის დამუშავებას და შემდგომ ახდენდა აღნიშნულის პრეზენტაციას. ყველა სტუდენტს ექნებოდა წვდომა შესაბამის სახელმძღვანელოებთან, უზრუნველყოფილი იქნებოდნენ თანამედროვე ძვირადღირებული ლიტერატურით. გაურკვევლობას იწვევდა მხოლოდ ტერმინი პრეზენტაცია, რომელიც შესაძლებელი იყო შეცვლილიყო სხვა ტერმინით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ახორციელებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნული პროგრამის ქართულ ანალოგს. წარმომადგენლის განცხადებით მათ ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, მისი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი შენიშვნა ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მას აინტერესებდა საკმარისი იყო თუ არა ის ბაზა და რესურსი, რაც პროგრამას ჰქონდა მისი წარმატებით განხორციელებისათვის. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აღნიშნულ ეტაპზე არ ფლობდა საკუთარ ბაზას, თუმცა ჰქონდა სრულფასოვანი ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტებს ექნებოდათ ლაბორატორიებთან და კლინიკურ ბაზებთან წვდომა, ასევე მისი მოსაზრებით პროგრამის ამოქმედების შემდეგ მას იმედი ჰქონდა, რომ დაწესებულება თავად უზრუნველყოფდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას სტუდენტებისათვის.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16: 50 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკონომიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტებმა გოჩა თუთბერიძემ და ია ნაცვლიშვილმა.

- საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, ,,სწავლების პირველი ეტაპი (I-II სემესტრი) მოიცავდა ზოგადი განათლების კურსს - 67 კრედიტს. II ეტაპი (III-VII სემესტრი) მოიცავდა მაპროფილებელ კურსს - 132 კრედიტს. დანარჩენი კრედიტები ნაწილდებოდა შემდეგნაირად: 30 კრედიტს სტუდენტი დააგროვებდა მისთვის საინტერესო საგნების არჩევით (თავისუფალი კრედიტები) როგორც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებათა ან სხვა სკოლაში, ასევე სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტში. მესამე ეტაპი (VIII) მოიცავდა სადიპლომო ნაშრომის დამოუკიდებლად შესრულებას, რომლის წარმატებით დასრულებისას მიიღებდა - 15 კრედიტს. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებს ჰქნოდათ შესაძლებლობა, რომ ეკონომიკის სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეეძინათ დამატებითი სპეციალობა (მაინორი) პოლიტიკური მეცნიერებებისა ან საჯარო მმართველობის მიმართულებით, რისთვისაც მათ მოუწევდათ დაეგროვებინათ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე". აღნიშნული კრედიტების დაჯამებით გამოდიოდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა 304 კრედიტს, ნაცვლად 240 კრედიტისა, როგორც აღნიშნული იყო მითითებული პროგრამაში. ამასთან, თუ უგულებელყოფდნენ დამატებით სპეციალობის 60 კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მოცულობა იქნებოდა 244 კრედიტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ მუხლი 4: მისანიჭებელი კვალიფიკაციების თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეეძლო ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და

დამატებითი სპეციალობისა (სასურველი იყო 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო საგანმანათლებლო პროგრამას სტუდენტებისათვის შეეთავაზებინა კრედიტების ის ოდენობა, რომელიც მათ მისცემდა შესაძლებლობას 8 სემესტრის განმავლობაში დაესრულებინათ სწავლა და მიეღოთ შესაბამისი კვალიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურდა სტუდენტისათვის შეეთავაზებინა ძირითად სპეციალობასთან ერთად დამატებითი სპეციალობაც და თავისუფალი კომპონენტები, მაშინ შესაბამისად, უნდა შეემცირებინა ზოგადი განათლების და ე.წ. მაპროფილებელი სასწავლო კურსები;

- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პიროვნებათა ჯგუფის შესახებ, მაგრამ არ იყო ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო მითითებული ყოფილიყო პროგრამის კონცეფციის აღმწერ დოკუმენტში, თუ ვინ იყო პროგრამის ხელმძღვანელი;

- პროგრამის კონცეფციაში მკაფიოდ არ ჩანდა ეკონომიკის მაინორ პროგრამის სტრუქტურა, მიზანი და შედეგები, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობდა სხვა პროგრამის სტუდენტებს, შესაბამისად, სასურველი იყო თითოეული მაინორ პროგრამისათვის მოეხდინათ მათი სათანადო გაწერა;

- სასურველი იყო პროგრამას გაეთვალისწინებინა პრაქტიკის კომპონენტი;

- დაწესებულებას არ ჰქონდა სადიპლომო ნაშრომის სილაბუსი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს ,,სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია", რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სადიპლომო ნაშრომის შესრულების პრცედურა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იყო იმავე ინსტრუქციაში მკაფიოდ ყოფილიყო გაწერილი სადიპლომო ნაშრომის მიზანი, შედეგები, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და ა.შ. ან სადიპლომო ნაშრომთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია ჩამოყალიბებული ყოფილიყო სილაბუსის სახით;

- პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა კალკულუსის და მათემატიკა ეკონომისტებისათვის სწავლებას ჯამში 10 კრედიტის (5+5) მოცულობით. კალკულუსის ისწავლებოდა პირველ სემესტრში, ხოლო მათემატიკა ეკონომისტებისათვის კი მესამე სემესტრში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული სასწავლო კურსების თანმიმდევრულად სწავლება. გარდაამისა, საგანმანათლებლო პროგრამა, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებდა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლებას, თუმცა მეექვსე სემესტრში ისწავლებოდა ისეთი სასწავლო კურსი, როგორიც იყო ეკონომეტრიკა. ცხადი იყო, რომ ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სწავლების გარეშე აღნიშნული სასწავლო კურსის ათვისება საკმაოდ რთული ამოცანა იქნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იყო გაზრდილიყო პროგრამის რაოდენობრივი კომპონენტების წილი და მას დამოუკიდებელი კომპონენტების სახით დამატებოდა ,,ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა" მინიმუმ 5 კრედიტის მოცულობით;

- ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ფინანსები) სავალდებულო ლიტერატურა მიზანშეწონილი იყო შეცვლილი ყოფილიყო უფრო მეტად პროფილური სავალდებულო სასწავლო ლიტერატურით (კურსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო ,,ბიზნესის საფუძვლები", თავისუფალი უნივერსიტეტი, 20111 წ, რევაზ ვაჩნაძე, გიორგი თურქია და ,,ბიზნესი", სახელმძღვანელო ორ ტომად ESM - თბილისის სტუდენტებისათვის, 2007წ, რევაზ ვაჩნაძე, გიორგი თურქია, პაატა ლომსაძე, მეორე ტომი; საჯარო სექტორის ეკონომიკის სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო ჰ.ს. როუზენი. საჯარო ფინანსები. თბილისი, 2006);

- აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მეოთხე არჩევით საგნად განსაზღვრული იყო მათემატიკა. სასურველი იყო აღნიშნული ფაქტი ასახული ყოფილიყო პროგრამის კონცეფციაშიც;

- აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის სილაბუსებში არ იყო გაწერილი სწავლა/სწავლების ფორმები. ინტერვიურების დროს პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს სწავლა/სწავლების ფორმების გამოყენება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებში სათანადოდ ყოფილიყო გაწერილი სწავლა/სწავლების ფორმები;

- პროგრამის კონცეფციასა და სტრუქტურაში მითითებული არ იყო სასწავლო კურსების წინაპირობები, თუმცა სილაბუსებში მითითებული იყო მოცემულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა. ინფორმაციულობის მეტი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სასურველი იყო სასწავლო კურსების წინაპირობების პროგრამის კონცეფციაში/სტრუქტურაში მითითებაც;

- სასურველი იყო ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობების დაზუსტება (მაგ: სასწავლო კურსებს მაკროეკონომიკა 1 და შრომის ეკონომიკა მიზანშეწონილი იყო დამატებოდა წინაპირობად ეკონომიკის შესავალი, ხოლო სასწავლო კურსის საქართველოს ეკონომიკას წინაპირობად განსაზღვრული ჰქონოდა მიკროეკონომიკის ნაცვლად მაკროეკონომიკა);

- სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული იყო შეფასების ფორმები და მათი პროცენტული მნიშვნელობები. მაგ: აქტივობა 5%, 1 შუალედური გამოცდა 25%, 2 შუალედური გამოცდა 25%, დავალებები/ქვიზი ან პრეზენტაცია 15%, დასკვნითი გამოცდა 30%, მაგრამ შემდგომში არ ჩანდა თვით აღნიშნული კომპონენტების სტრუქტურა. სტუდენტთა ინტერვიურებისას და ელექტრონული სისტემის დათვალიერებისას გაირკვა, რომ ელექტრონულ სისტემაში სტუდენტები დეტალურად ხედავდნენ აღნიშნულ კომპონენტში, თუ როგორ ფასდებოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო განხორციელებულიყო სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების თითოეული კომპონენტის დაკონკრეტება;

- სასურველი იყო ზოგიერთ სასწავლო კურსში სასწავლო ლიტერატურის განახლება (მაგ: რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, საჯარო სექტორის ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, ოპერაციათა კვლევა).

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გახლდათ საკმაოდ დიდი მოცულობის, თუმცა გასაუბრებების და ინტერვიუების დროს დადგენილი იქნა, რომ დაწესებულებას ბევრი რამ ჰქონდა შემუშავებული, თუმცა ეს არ იყო ასახული დოკუმენტალურად. დაწესებულებას ჰქონდა გამართული და სრულყოფილი შეფასების ელექტრონული სისტემა, სადაც ჩაშლილი იყო შეფასების კომპონენტები, თუმცა შესაბამის სილაბუსებში არ იყო ასახული აღნიშნული ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას საფუძვლად ედო ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამების კონცეფცია საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. პროგრამა აგებული იქნა ისე, რომ იძლეოდა შესაძლებლობას მისი გავლის შემდეგ სტუდენტს გაეგრძელებინა სწავლა როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. პროგრამა საბოლოო რედაქციით წარმოდგენილი იყო 244 კრედიტის მოცულობით, თავდაპირველად დაგეგმილი ჰქონდათ მაინორი საჯარო მმართველობა და პოლიტიკა, თუმცა შემდეგ მოხდა მისი ამოღება. რაც შეეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებს, ყველა რეკომენდაცია იქნა გაზიარებული.

აღსანიშნავი იყო, რომ დღევანდელი ეკონომიკა იყო მათემატიზირებული, შესაბამისად სასურველი იყო მათემატიკური დისციპლინები ლოგიკურად ყოფილიყო ერთმანეთზე მიბმული, შესაბამისად ეთანხმებოდნენ ექსპერტის რეკომენდაციას ალბათობის თეორიის და

მათემატიკური სტატისტიკის პროგრამაში გაძლიერების მიზნით, გაზრდილი იქნა საათების რაოდენობა (56სთ) და კვირეული დატვირთვა შეადგენდა 4 საათს. თუმცა სტატისტიკის ზოგად კურსში და ბიზნესის სტატისტიკაში გათვალისწინებული იყო გარკვეული ელემენტები.

რაც შეეხებოდა პრაქტიკის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომისტისათვის, ძალიან რთული იყო ვალდებულის აღება რომ უნივერსიტეტი ყველა სტუდენტს უზრუნველმყოფთა პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობით. აღნიშნული სირთულის გადასალახად, სადიპლომო ნაშრომში მოხდა სავალდებულო პრაქტიკული მუშაობის კომპონენტის მოთხოვნა. ამასთან, უნივერსიტეტი შეეცდებოდა შესაძლებლობის ფარგლებში მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის მაინც უზრუნველეყოთ შესაბამისი პრაქტიკა.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენ სტუდენტს ელოდნენ პროგრამაზე.

წარმომადგენლის განცხადებით, პირველ ეტაპზე ელოდნენ 20-25 სტუდენტს.

თავმჯდომარის განცხადებით აღნიშნული რაოდენობის სტუდენტებისათვის გაცილებით მარტივი იქნებოდა პრაქტიკის უზრუნველყოფა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასათვალისწინებელი იყო საკმაოდ დიდი კონკურენცია აღნიშნულ სფეროში, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამების კუთხით, ვალდებულის აღება უჭირდა დაწესებულებას. უნივერსიტეტი გეგმავდა მარკეტინგული ჩარჩოს შემუშავებას აღნიშნული პროგრამისათვის, სადაც ჩაიდება პოტენციურ დამსაქმებლებთან სისტემატიური შეხვედრების კომპონენტი.

რაც შეეხებოდა სასწავლო ლიტერატურის განახლებას, აღსანიშნავი იყო, რომ საუკეთესო ახალი ლიტერატურა ყოველთვის გახლდათ ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯიპას სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე საქართველოში არსებულ ნიშნულზე მაღალი იყო, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ძირითად ლიტერატურად გამოყენება არ იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ექნებოდათ შერჩევითი მიდგომა ხარისხიდან გამომდინარე, თუ იქნებოდა ეკონომიკის სტანდარტების შესაბამისი დონის ლიტერატურა აუცილებლად შეარჩევდნენ და განაახლებდნენ.

თავმჯდომარის განცხადებით ლიტერატურის განახლება უნდა ყოფილიყო უწყვეტი პროცესი, რომელიც პირდაპირ მიბმული იყო აკრედიტებულ პროგრამაზე სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარეც.

საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ ლიტერატურის გამრავალფეროვნების მიზნით შესაძლებელი იყო უნივერსიტეტს გამოეყენებინა მთარგმნელობითი რესურსი და მისი მოსაზრებით უნივერსიტეტს ჰქონდა საშუალება მიემართა ზემოაღნიშნული მექანიზმისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შექმნის პროცესში, მის მიერ მოძიებულ იქნა ოთხი საუკეთესო წიგნი, რომელიც იყო თარგმნის პროცესში, ასევე უნივერსიტეტს ჰქონდა მაკრო და მიკროეკონომიკის ძირითადი ლიტერატურა, ასევე როდესაც ბაზარზე გამოჩნდებოდა ახალი ლიტერატურა აუცილებლად მოხდებოდა მისი თარგმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:16 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:23 საათზე.

4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება მაგისტრთან გათანაბრებული (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნატო ალავიძემ.

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსები პათოლოგიური ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია გაყოფილი ყოფილიყო ორ ნაწილად: პათოლოგიური ანატომია 1.2 და პათოლოგიური ფიზიოლოგია 1.2.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ახორციელებდა სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისად ჰქონდა გამოცდილება სამედიცინო პროგრამების განხორციელების კუთხით. ინფრასტრუქტურა, კლინიკური ბაზა, ლაბორატორიები, კურიკულუმი და აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას, მოხდებოდა კურსების ორ ნაწილად გაყოფა და კრედიტების რაოდენობის გაზრდა არჩევითი კურსების ხარჯზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კლინიკური ბაზებით. ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა პათანატომიის, ბიოქიმიური და ჰისტოლოგიის ლაბორატორიები, ძირითადი აქცენტი კეთდებოდა კლინიკურ უნარჩვევებზე. ასევე ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმები, სასწავლო პროცესის დაწყების პერიოდისათვის ექნებოდათ გაფორმებული ხელშეკრულებები. კლინიკურ ბაზებზე გასვლა დაიწყებოდა მეშვიდე სემესტრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. **შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა** დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნატო ალავიძემ.

- სასწავლო კურსი ,,პათოლოგია" მოიცავდა პათოლოგიური ფიზიოლოგიის საკითხებს. შესაბამისად შესაძლებელი იყო კურსის სახელწოდების შეცვლა, რადგან ტერმინი პათოლოგია ზოგადად პათოლოგიურ ანატომიასაც მოიაზრებდა;

- სასურველი იყო პროგრამაში გაზრდილიყო არჩევითი კურსების ხვედრითი წილი, რიგი კურსების (ფარმაცევტული ტექნოლოგია 1,2,3; ფარმაცევტული ქიმია 1,2,3) კრედიტების ხარჯზე. ვინაიდან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში აღნიშნული კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, ზოგადად შესაძლებელი იყო შედარებით ნაკლები კრედიტების ფარგლებშიც. არჩევითი კურსების დიაპაზონის გაზრდა კი საშუალებას მისცემდა ,,ფარმაციის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისას მიეღო უფრო ფართო არჩევანის უფლება;

- სასურველი იყო სასწავლო რესურსების თანამედროვე გამოცემებით შევსება. იმის გათვალისწინებით, რომ ფარმაციის დარგში ზოგადად იყო ლიტერატურის ნაკლებობა, მაგრამ არსებობდა შესაბამისი უცხოენოვანი თანამედროვე და უახლესი ლიტერატურა. სასურველი იყო პროგრამის ადმინისტრაციისა და კურსის განმახორციელებლების მიერ პროგრამის განხორციელების პროცესში დაგეგმილი ყოფილიყო ,,ჰენდ აუთებით" სტუდენტების უზრუნველყოფა;

- სასურველი იყო ,,ფარმაკოლოგიის" კურსში კრედიტების გაზრდა, თუმცა სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები არსებული კრედიტების პირობებშიც იყო მიღწევადი, ფარმაციის დარგში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და ზოგადად ბაზარზე კლინიკური ფარმაციის მიმართულების სწრაფი ტემპით ზრდის პირობებში სასურველი იყო აღნიშნულ მნიშვნელოვან კურსზე ყურადღების გამახვილება.

საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ყველა რეკომენდაცია გახლდათ მიღებული, რომელიც სასარგებლოდ წაადგებოდა პროგრამას. რაც შეეხებოდა ლიტერატურას და კრედიტების გაზრდას კონკრეტულ საგნებში, პროგრამას გააჩნდა აღნიშნული ასპექტების გაზიარების რესურსი, უცხო ენოვანი ლიტერატურის ჩადება მოხდებოდა მეხუთე სემესტრიდან, შემუშავდებოდა ჰენდაუთები.

საბჭოს წევრი რამაზ ჭილაია დაინტერესდა უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტში სწავლობდა 750 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ქიმიის ლაბორატორია. ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტში ისწავლებოდა სტომატოლოგია, აღნიშნული პროგრამიდან გამომდინარეც, დაწესებულებას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია. ასევე დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ფარმაცევტულ კომპანიებთან, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს ესარგებლათ ასევე მათი ორგანული ქიმიის ლაბორატორიებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა რამაზ ქურდაძემ და ნინო ბალანჩივაძემ.

- პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები და ვიზიტის დროს ადგილზევე იქნა ჩასწორებული შემდეგი პუნქტები; კერძოდ, 1,3 და 4,2. გათვალისწინებული იქნა შემდეგიც: ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით ჩატარდებოდა ენობრივი დონის განმსაზღვრელი გამოცდა (პრეტესტი), რის შედეგადაც ჩამოყალიბდებოდა ჯგუფები ენის ცოდნის დონის მიხედვით;

- აღსანიშნავი იყო, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილ პროგრამაში არსებული ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის შეცდომები, ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უკვე გასწორებული დაახვედრა ექსპერტებს, გასწორდა ზოგიერთი უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლობა იზიარებდა რეკომენდაციებს. ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, როგორიც გახლდათ ლიტერატურის გვერდების მითითება და ა.შ. ვიზიტის განხორციელებამდე გასწორებული იყო. რაც შეეხებოდა ენობრივი კომპეტენციის დონის გაზრდას და პრეტესტის ჩატარებას, უნივერსიტეტის კონტიგენტის ოდენობიდან გამომდინარე რეავტორიზაციამდე არ იქნა მიჩნეული მართებულად პრეტესტის განხორციელება, თუმცა თუ სამომავლოდ გაიზრდებოდა სტუდენტების რაოდენობა შემუშავდებოდა ტესტირება უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენ სტუდენტს ელოდებოდნენ პროგრამაზე. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა დამტკიცებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მიერ და განსაზღვრული იყო აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის, შესაბამისად კონტიგენტი წინასწარ არ იყო ცნობილი.

საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით 60 კრედიტი არ იყო საკმარისი ქართული ენის სრულფასოვნად ფლობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ არ არსებობდა ტესტის უნიფიცირებული სისტემა საქართველოში, შესაბამისად ყველა უნივერსიტეტი აფასებდა თავისებურად, მისი მოსაზრებით სასურველი იყო შემუშავებული ყოფილიყო ერთიანი ტესტი, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი გამოიყენებდა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება იხელმძღვანელებდა ევროპული ჩარჩოთი, ვინაიდან არ არსებობდა დონის განმსაზღვრელი უნიფიცირებული სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 18:15 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ანანო გიორგაძე